სამშობლო

წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 12 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-[illegible] იხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ ნაშუადღევის 2 საათ. დღის. 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 10 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 10

„სამშობლო—დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—8 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს უეჭველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

7-ს ამა თებერვალს, დღით შაბათს, ზედა-ილმის სამკითხველოში **განსაკუთრებით** გადახდილ იქნა პანაშვიდი ს. ზედა-ილმის, იგორეთისა და ბორის მცხოვრებლების თანადასწრებით დიდებული მგოსნის, საქართველოს სიამაყის

აკაკის

სულის მოსახსენებლად. 1—1 48.

თ-დ სვიმონ გიორგის ძე წერეთელი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ომში ტრაღიკულათ მოკლულ იქნა შვილი მისი

არჩილი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 4 საათზე, მაცხოვრის ეკლესიაში. გვამის მოსვენება და დაკრძალვა ცალკე გამოცხადდება.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი ქვრივი ბარბალე დომენტის ასული ელენტისა, ნატალია და მიხეილ, მარიამი და სოფიო, პორუჩიკი ივანე და გრიგოლ, შუშანა და ბიჭიკო ელენტები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველი უსაყვარლესი მეუღლისა, მეორენი უძვირფასესი შვილისა, მესამენი და მეოთხენი ძვირფასი ძმისა, და მეხუთენი საყვარლის მამისა ჩვენთა პოლკის უფროსი ექიმისა

სერგო მიხეილის ძე ელენტის

ბრძოლის ველზე ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ძველ თფილისის ქუჩაზე. გამოსვენება თავის სახლიდან კვირას, 15 თებერვალს, ნაშუადღევის სამ საათზე. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. 1—1 60

---

7 ამა თებერვალს ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კოლეჟსკი სოვეტნიკი, აზნაური

ივანე სიმონის ძე ბაინდუროვი,

რასაც აუწყებენ ღრმათ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი ნათესავებთ და ნაცნობებთ. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე თავის საკუთარ სახლში, გოსპიტლის ქუჩაზე. გამოსვენება იქნება დღეს ხუთშაბათს, 9½ საათზე დილით, თავის საკუთარ სახლიდან ქართველთა რომის კათოლიკეთა ეკლესიაში. ცალკე მოწვევის ბარათები არ დარიგდება. 1—1—57

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris),

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი. **მოსკოვის ფირმის** ქუთაისი გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“-ს

სამანუფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი“ „კრეპ—აბრეტინი“ და „კოტლე—ნოველი“ მანტოსათვის:

„ფაი—რენე“ და „ფაი—ში ქ.“

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაქტურის ნაწარმოები.

ფასები ზეუმაჭრებლათ. თ.

აკაკის დრამატიული საღამო

ქალაქის თეატრი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, ხუთშაბას, 12 თებერვალს 1915 წ. წარმოდგენილი იქნება

I.

პატარა კახი

II.

დრ. 5 მოქ. აკაკისა.

აპოთეოზი

აკაკის ხსოვნის პატივსაცემლად.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი გ. ანდრონიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ადმინისტრატორი გ. ურუშაძე.

მზადდება წარმოსადგენად:

„თამარ ბატონიშვილი“—დაკლებულ ფასებში. ს. ჰანტურიშვილის ახალი პიესა „ბუღუსი“, შ. დადიანის „განწირულნი“, „მელა“ და სხვანი.

ელექტრო-თეატრი რადიუმი.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა დასტირის დიდებულ მამულიშვილს აკაკის. მის ცხედრის გამოსვენებას დაესწრო მთელი საქართველო.

ეს დიდებული სანახაობა ჩვენ გადავიღეთ, რომ შთამომავლობამ იცოდეს, რა პატივით მოეპყრო აკაკის მისი თანამედროვე ქართული საზოგადოება.

მობრძანდით და იხილეთ ეს დიდებული სურათი.

1) აკაკის სასახლე და ბინა, სამუშაო ოთახი, ეზო, კარ-მიდამო
2) აკაკის გამოსვენება საჩხერიდან.
3) როგორ ეგებება ქართველობა აკაკის ნეშტს რკინის გზის სადგურებზე საჩხერიდან—შორაპნამდე.

სეანსები დაიწყება 9 თებერვლიდან. თ. 51.

ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება.

ფოსტის ადრესი: ქ. კალუგა, ტიზეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარპოვი.** 12—8

ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის

უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საინბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშვები. თ. 7.

დაიბეჭდა და გასაყიდათ დაურიგდა მაღაზიებს ნ. ს. ჯორჯიძიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“

Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური.

თ.

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოსცა რუსულ ენაზე ალ. გარსევანიშვილის თხზულება.

„Поэтъ Грузіи Акакій.“

წიგნის ფასი 2 შ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლო კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე. დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლეჟავოვის ქუჩა, ალიხევგოვის სახლში. (თ.)

კბილის მენალარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ქუთაისი, 12 თებერვალი.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება თითქმის ყველა ის სიტყვა, რომელიც წარმოითქვა დიდებულ აკაკის დაკრძალვის დღეს.

გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ განგებ შევკრიბეთ ეს სიტყვები ერთად. ჩვენი განზრახვა იყო ერთად შეგვეკონა, ერთად შეგვეკრა და ერთმანეთისათვის დაგვეპირ-დაპირებინა აზრი და ფიქრი, გრძნობა და შეხედულება როგორც თანამედროვე საქართველოის საუკეთესო შვილთა, ისე ჩვენის მეზობლებისა.

კითხულობთ ამ სიტყვებს და მიუხედავათ ზოგიერთ ცალმხრივობისა მგლოვიარე გულში იმედისა და სიამოვნების შუქი გადგებათ.

გიხარიათ, რომ ქართველმა ხალხმა უკვე გაიღვიძა, უკვე შეიგნო თავისი დანიშნულებაც და თავისი მოვალეობაც.

გიხარიათ, რომ ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა ერმა, როგორც მასსამ, უკვე იცნო თავისი ჭირისუფალი და აფასებს კიდეც ყველა იმას, ვინც მის გამოფხიზლება—კეთილდღეობას შესწირა დღენი თავისი სიცოცხლისა, თავისი პირადი ბედნიერება, პირადი გულისთქმა.

გიხარიათ, რომ კავკასიის ერებმა იცნეს ერთმანეთი, შეიგნეს და აფასებენ კიდეც ურთიერთის ღირსებას, ურთიერთის უფლებას, ურთიერთის ისტორიულ დანიშნულებას!...

ძმური, საერო, მშობლიური შეგნება

და განწყობილება შინ, კეთილი მეზობლობა და სოლიდარობა გარეთ!—ამაზე მეტი ბედნიერება, ამაზე მეტი სიამოვნება რაღა იქნება!

აკაკის მეფური დასაფლავება, მისი უსულო გვამის ხელმწიფება ერთ დღეს მაინც, ის წუთი, ის მომენტი, როდესაც ათი და ასიათასი ადამიანი ერთ გრძნობასა და ერთ ფიქრზე იდგენ, ის მომენტი, როდესაც ათმა და ასიათასმა ქალმა თუ კაცმა მუხლი მოიდრიკეს ძმობა-ერთობისა, ეროვნებისა და თავისუფლების მქადაგებლის ნეშტის წინაშე, იმის მომასწავებელია, რომ ერთხელაც იქნება სიტყვა კეთილი და სიტყვა ტკბილი საქმეთ იქცევა და დამაშვრალი ერი საქართველოისა თავისუფლად ამოისუნთქებს და, ღირსეული ღირსეულ მეზობელ ხალხთა შორის, გამოერკვევა გაუგებრობისა და წვრილმან შენჩემობისაგან!

ნეტარება იმ დღის მომსწრეს! ნეტა იმას, ვისაც შეძლება მიეცემა სთქვას ის, რაც უნდა და იმოქმედოს ისე, როგორც შეეფერება თავისუფალ მოქალაქეს თავისუფალი ქვეყნისას!..

დიდებულმა აკაკიმ ეს ნატვრა სამარეში ჩაიტანა. კიდევ ბევრი დრო გავა ვიდრე ეს ნატვრა აღსრულდებოდეს, მაგრამ ბ-ნ ტოფჩიბაშევისა და მოხუც გულო ალა კაიკაცისშვილის სიტყვები თავდებია იმისი, რომ ნატვრა მუდამ ნატვრათ არ დარჩება და დადგება ხანა ამ ნატვრის განხორციელებისა!

ერთსულობა და ერთგულობა ჩვენის ერისა—განურჩევლად წოდებისა, სქესისა, მდგომარეობისა, კლასისა და პროფესიისა—აკაკის და მის იდეალების პატივისცემის საქმეში თავმდებია, რომ ქართველი ერი, როგორც ეგეთი, საერო, საქვეყნო საქმისათვის არაფერს არ დაიშურებს. და მალე ისეთ განწყობილებას ჩამოაგდებს, რომ თითოეული წევრი ტანჯულის ხალხისა სიკეთის გზაზე შესდგეს...

სიტყვები

წარმოთქმული, თფილისში, აკაკის დაკრძალვის დღეს.

სიტყვა კიტა აბაშიძისა.

აჰა, დაიმსხვრა ჭურჭელი ძვირფასი.

უცხო ხელოვნის მიერ ქმნილი სასუმელი მტვრად იქცა.

ხოლო დარჩა უკვდავი, ღვთაებრივი ნექტარი, იგი არ დაღვრილა.

იგი დაიყო და ქართველ ერის სულის უკვდავ ნაწილად იქცა.

მუზათა ღმერთს ჩონგური ხელიდან გავარდა... და გაიბზარა.

ხოლო შეხმატკბილებული მისი სიმების წკრიალი არ შეწყვეტილა და ზევსური ჰანგები მისი კვლავ გაისმიან. იგინი იქ რჩებიან სამარადისოდ ქართველ ერის სმენის დამატკბობელი სულის მეოხი, გულის გამამხნევებელი.

მწყემსს ტკბილი სალამური გადაუტყდა, მაგრამ მისგან აღმოხდარი, მომჯადოებელი კვნესა გაჰკივის „მთა და ველში“ და ქართველ ერს უწოდებს ნესტანის საშველად... წუთიერი, გარდამავალი გაჰქრა.

ის, რაც მიწის იყო, მიწად იქცა.

ხოლო ის, რაც ცის იყო ხელუხლებელი დარჩა. იგი განისვენებს დღეიდან განსასვენებელსა კეთილსა, „სადა იგია ცხოვრება დაუსრულებელი“, განისვენებს მისთვის ერის გულში მომზადებულ იავარდით შემკულ სახატეში სამუდამო სამაზრდოებლად საუკუნეთა შორის მიმდინარე თაობათა.

მაშ რადამ შეგვაერთა ჩვენ აქ მთელი ერი ჩვეულებრივად დაქსაქსულნი, ხშირად ერთი მეორეზე აღტყენილნი?

რად არის ქართველი ერი შავის მანდილით მობურვილი, რად არის გლოვით მოცული, რად აღვსებია თვალები ცრემლით, რად აღმოხდა ბაგეთაგან „ოიხვრა, შვება უბედურისა“? სამედისწერო საკითხი აღიმართა მის წინაშე, როგორც ყოველთვის ასეთ ტრაგედიულ წამებში: ნუ თუ საქართველოს ხვედრი მარტო ტანჯვაა და გლოვა, ვაება და ტირილი, ნუ თუ ისტორიულის ბედისა გინდ განგებისაგან ეს საშინელი როლი აქვს ქართველ ერს სამარადისოდ დაკისრებული. ნუ თუ მისსია მოწამებრივობისა არის მისი ხვედრი? ნუ თუ, „ნესტან დარეჯანი ქაჯებს ჰყავთ“ ეს საბედისწერო ეპიტაფიაა ჩვენის ისტორიულის ცხოვრების საფლავის ქვაზე წარწერილი, ნუ თუ „კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ამირანი“ ეს უცნაური სიმბოლოა და სახება ჩვენის ისტორიულის თავგადასავლისა? იყოს ეგრე. მერე რა? განა ტანჯვა და სიხარული ორი პირი არ არის ერთისა და იმავე მოვლენისა, რომელსაც ადამიანთა ცხოვრება ეწოდება, სხვა და სხვა გამოსახულება არაა ადამიანთა ცხოვრების ერთი და იმავე ტრაგედიულის არსისა.

განა ტანჯვა უფრო ღრმა არ არის, უფრო დიადი, უფრო ადამიანური? განა ტანჯვა ის დიდებული დიბა არ არის, ის თვალთ წარმტაცი ოქროს ქსოვილი, რომლის ნიადაგზე მოიქარგა ესდენ დიადი მშვენება პოეზიისა, ქართველ ერის სევდა-სასოების მგოსანი.

თუ ეგრეა, კურთხეულ იყავნ ტანჯვა, რომელიც აძლევს ერს შეძლებას დაამტკიცოს მისი სულის სიძლიერე და გამოაღებინოს ასეთი ნაყოფი მისის სულის გენიოსობისა. ჩამოჰკრა თუ არა ქართული პოეზიის ტაძრის გლოვის ზარმა, მაუწყებელმა შენის აღსასრულისა, ქართველ ერის გულიდან აღმოხეთქილმა ინსტიქტიურმა ხმამ შენ მიგიჩნია საუკუნო განსასვენებელი იქ, სადაც სცემს მაჯა წამებულის საქართველოისა, იქ, სადაც ჰფეთქს გული შენის ერისა მან აგიჩინა სამარედ მთაწმიდა, ეს გუშაგი საქართველოს დედა ქალაქისა, რომელსაც დღეს ისე, როგორც მთლად ჩვენ ცხოვრებას, საბედისწეროდ დასჩხავიან ყვავყორანნი.

ქართველი ერის სულმა მოიწადინა სიკვდილის საიდუმლოებათა და უკვდავების ძლიერებით შეაკავშიროს მეორე დიდებულ მოძღვართან, რომელთა ერთად ორმოცდა ათის წლის წინად გადმოსძახეთ მიძინებულ, მისუსტებულ და მიბნედილ საქართველოს ხმა იმედისა და სასოებისა.

ამოუდექით მხარში წმიდა მცველებად თქვენ საყვარელ სატრფოს „ფეხშიშველსა, თავზე ლეჩაქ მოხდილსა“ ეკლის გვირგვინით შემკულსა და კვლავაც გაგვაგონეთ გამამხნევებელი ხმა და თქვენი ერი ტანჯული, ხოლო არა დაცემული, დაჩაგრული, ხოლო არა მონად ქცეული, მეგობრისგან მოტყუებული, ხოლო არა მოღალატე ლომ-გმირად იქცევა, გაგულკაცდება და თუ ვერ მოახერხებს სადღესასწაულოდ მორთოს თქვენი სატრფო და საქორწილო ჯილა დაადგას თავზე, ღირსეულად მაინც ატარებს იმ მოწამებრივ გვირგვინს, რომელიც ჰკავს ბედს ჩვენის სამშობლოისათვის სამარადისო სამკაულად მიუნიჭებია.

დიდებულო მოძღვარო, დღეს შენი ერი დაფნის გვირგვინით შეამკობს შენს წმიდა შუბლს ნიშნად დაუსრულებელის მადლობისა წარუდექი შენ ეგრე დაგვირგვინებული ჩვენის ცხოვრების წმიდა ტანჯულთა წინაშე და ახარე მათ, რომ შენი ერი გაიზარდა და აწ თავის დიდებულ მოღვაწეთ აღარ განაცდევინებს სიმწარეს ეკლის გვირგვინისას.

— —

ევგენი გეგეჭკორისა.

მოქალაქენო! ამ საშინელ და დიდათ სერიოზულ დროს, როცა მსოფლიო გახვეულია ცეცხლის ალში, როცა ორი მხრით ჩვენ მტერი გვადგია და თვითეული ჩვენგანი მხოლოდ და ფიქრობს ბრძოლის ველზე გასულ შვილზე, ძმაზე და ნაცნობ-მეგობარზე, როცა გლოვის ბნელ ზეწარით გადაფარებულია მთელი ჩვენი პაწია ქვეყანა, აი ამ დროს უცებ, რაღაც ჯადოსნური ძალით დაივიწყა ჩვენმა ხალხმა ყველა ეს გაჭირვება, დაივიწყა ყველამ თავისი პირადი გლოვა და მიეცა განუზომელ მწუხარებას, შეიმოსა ძაძით ერთი პირის დაკარგვის გამო. ეს პირია თქვენ წინაშე მდებარე დიდებული ცხედარი, ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. თქვენ უნდა გენახათ ის აუარებელი ხალხი, კაცები, ქალები და ბავშვები, რომელნიც ხვდებოდენ ძვირფას ცხედარს მთელ ამ შორი გზაზე საჩხერიდან თფილისამდე და მუხლ მოდრეკით, დამწუხრებული სახით თაყვანსა სცემდენ წმინდა ნეშტს, უნდა გენახათ თვალცრემლიანი, აქვითინებული სოფლის მცხოვრებნი, რომ გეთქვათ: მოკვდა საქართველოს უდიდესი შვილი და მის წმინდა ცხედარს მოკრძალებით საუკუნო სამარემდის აცილებს მადლიერი ერიო. ეს იშვიათი სახალხო გლოვა არ არის გლოვა მოწყვეტილი მეთაურთა და ჯგუფთა მიერ წინდაწინ განზომილი; არა, ეს არის გლოვა სტიქიური, მასის სულის კვეთების შადრევანსავით ამოხეთქვა—შეუჩერებელი ბუნებრივი საერთო დამწუხრება. რაშია საქმე? როგორ დაიმსახურა ერთმა კაცმა ასეთი გულწრფელი სახალხო გლოვა, ასეთი დიდი, განუზომელი სიყვარული? რა იყო აკაკი ხალხისათვის და ხალხი აკაკისათვის?

მხოლოდ ორი მგოსანი მიუახლოვდა ყველაზე უფრო ახლო ქართველი ერის სულიერ განძს, მის შინაგან წმინდათა წმინდას, მის გრძნობებს და ნაციონალურ ტემპერამენტს. ისინი შევიდენ ნაციის უხილავ სალაროში, ჩაწვდენ მის სიღრმეს და გამოიტანეს იქიდან საუკეთესო მარგალიტები და შემდეგ ის გამშვენიერებულ გასპეტაკებული, საუცხოვო მუსიკალურ პოეზიით გარდაქმნილი ხალხსავე უკან დაუბრუნეს და ციური ჰანგებით გამოსჭედეს ეროვნული ორგანიზმით. ეს ორი მგოსანია რუსთაველი და აკაკი. საჭირო იყო რვა საუკუნე, რომ რუსთაველს მისცემოდა ღირსეული მემკვიდრე. თავისი მოტივებით, თავისი ჰანგებით ეს ორი მგოსანი განსხვავდებიან ისე, როგორც განსხვავდება მათი ეპოქა. აკაკი მეთორმეტე საუკუნეში იქნებოდა რუსთაველი, რუსთაველი მეცხრამეტე საუკუნეში იქნებოდა აკაკი. რა იყო აკაკის პოეზიის მთავარი ჰანგი? რის სამსახურათ გამოიყენა მან თავისი ზეციური ნიჭი? რას უგალობდა ის? აკაკი საზოგადო ასპარეზზე გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი მშრომელი ხალხი მონობის მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა და ისიც მთელი თავის ძალ-ღონით ეკვეთა ამ საშინელ ბოროტებას. შემდეგ იმხვრევა მონობის ჯაჭვი და ის ღვთაებრივ, სულის წარმტაც ჰანგებით უმღერის თავისუფალ გლეხის შვილს. ამ უკანასკნელში ის ხედავს იმ მაცხოვრებელ ძალას, რომელმაც უნდა შეუცვალოს ძირიან ფესვიანად ელფერი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და გაუკაფოს ქართველ ხალხს ფართო გზა საკაცობრიო იდეალისაკენ. თავისუფალი გლეხის შვილი ცოდნით აღჭურვილი. აი რა დაუდვა საფუძვლათ მის ღვთაებრივ პოეზიას. ახალმა ეპოქამ წარმოშვა ჩვენში საზოგადო დაწესებულებები: ბანკები, პრესა, თეატრი და ჩვენც ვხედავთ დიდებულ მგოსანს ცხოვრების ყველა დარგებში „დროების“ დემოკრატიულ ჯგუფის მებაირაღტრეთ. ის ებრძვის შეუპოვრად ყველა იმათ, ვინც ამეფებდა ზრუნვას ჩინ-ორდენებზე და პირადულ ინტერესებზე. მისი მწვავე და იმავე დროს ტკბილი სატირა მუსრს ავლებს და საშინელ არევ-დარევას იწვევს ქვემძრომ, ფლიდ „რუსეთუმეთა“ ბანაკში.

დგება ისტორიული ხანა 1905 წელი და

და საყვარელი აკაკი აქაც იმავე დემოკრატ და ოპოზიციონერად ევლინება სამშობლო მხარეს. რადგანაც მას სწამდა, რომ წყალი ხორცს ჰბანს და სისხლი სულს. მოქალაქენო, ჩვენი უკვდავი აკაკი თავის უკვდავ ლექსებში უგალობდა თავისუფლებას როგორც თვითეულ პირს, ისე მთელ ერს;

აი მისი დროშა. მხოლოდ მისი ძლიერი სიმები არა ნაკლებ ჟღეროდენ სხვა დაჩაგრულ ერთათვის. ის იყო პატრიოტი ამ სიტყვის კეთილშობილური მნიშვნელობით. ერთა შორის თანასწორობა და ურთიერთ შორის სამართლიანი, მშვიდობიანი მეზობლობის დამყარება, ეს არის მისი ნაციონალური ჰანგების მთავარი სარჩული. დიდებული მგოსანი ბოლომდის შერჩა „დროების“ დებულებას. „ერთად დგომით ავშენდებით, ცალ-ცალკე დგომით დავიქცევით“ და განა ეს საამდროვო ლოზუნგი არ არის? განა დღესაც, ამ საერთო ქარტეხილის დროს, არ გვჭირია ერთად დგომა და ერთმანეთის ხელის შეწყობა? განა კავკასიის ერები არ საჭიროებენ ძმურათ ხელის ჩაკიდებას და საერთო მტერთა წინააღმდეგ შებრძოლებას? დიახ, მოქალაქენო, ჩვენი სიამაყე აკაკი არ იყო მომხრე დაჩაგვრის და განადგურებისა და ეს დროშა არის იგივე დროშა კავკასიის ინტერნაციონალური დემოკრატიის. აკაკის გენიალურმა შემოქმედებამ, მისმა ღვთაებრივმა პოეზიამ დაუმტკიცა მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომ უკვდავია ერი მისი წარმომშობი, რომ ქართველ ერს ჯერ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა. მშრომელი ხალხის სახელით მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ვაცხადებ, რომ ერთად ერთი მგოსანი უკანასკნელი საუკუნისა, რომელიც ღირსია საჯაროთ დაფნის გვირგვინით შემკობისა მსგავსათ ძველი საბერძნეთის გმირებისა, შენ ხარ ძვირფასო ჩვენო საყვარელო აკაკი.

— —

სიტყვა ნ. ნიკოლაძისა.

ჩემზე უკეთ სხვები მოგახსენებენ აკაკის დიადი ნიჭის და ღვაწლის ღირსებას. მე მარტო იმას აღვნიშნავ, რომ თვით თავის სიკვდილით მან ახალი შესამჩნევი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას. ყველას. დაანახვა, რომ მის გლოვაში ერთი გრძნობა და გული ჰქონია მთელს ჩვენს ერს, მხარეს, წოდების, ქონების, ასაკის, სქესის და თვით პარტიის განურჩევლად. მისმა კუბომ გარს შემოირტყა და ერთ ნებას ძმურად დაუმორჩილა ყველა ჩვენი მიმართულების მეთაურები, რომელთაც წინედ ეგონათ, ვითომ მათ შორის საერთო არა მოიძიებარა. იმედი ვიქონიოთ, არა მარტო გლოვაში, ყველა სხვა ჩვენს საერობო საქმეში და გასაჭირში გამოგვადგება ამის შემდეგ ეს მადლიანი მაგალითი. ხედავთ, რამხელა ჯარი გვყოლია? ოღონდ შტაბი არსად გვგაჩნია, ურომლისოდ ამ განსაცდელით სავსე დროში ერი არა თუ წინ ვერ წაიწევს, ვერც კი გასძლებს. იქნება აკაკის ხსოვნამ ის სასწაული მოახდინოს, რომ დღევანდელი ჩვენი ერთობა და ერთი ხელმძღვანელობის მორჩილება ისეთივე მუდმივი გახადოს მამულის სახეიროდ, როგორც უკვდავი დარჩება ჩვენში აკაკის სახელი.

— —

თფ. ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვისა.

საქართველოს შვილნო და თფილისის მოქალაქენო!

გარდაიცვალა პოეტი, დაობლდა ხალხი.

ერის შვენებას და პატრიარქს, რომელიც შეიცავდა მთელის თავის ქვეყნის სულიერ ძალასა და იმედს და რომელმაც გაანათა იგი პოეზიის ფერად სხივებით, —არ შეეძლო სრულიად გარდაცვალება. ჩვენს თვალწინ სწარმოებს აქტი უკვდავებისა. რაც ძვირფასი იყო აკაკში, ის მუდმივია: სული ხალხისა. ეს სული ცოცხალია: ჩვენ წინ მისი სიმბოლო სდგას. სძინავს მას კუბოში, თუ სდგას ცოცხალი, გვირგვინითა და ქვეყნიური დიდებით შემკული, ორივე შემთხვევაში ის მახლობელია და დიდებული. როდესაც ძველ საფრანგეთში მეფე გარდაიცვლებოდა, გაისმოდა ხოლმე ხალხის ხმა: „მეფე გარდაიცვალა, გაუმარჯოს მეფეს“. და დღეს, როდესაც გონების თვალწინ გვიდგას ხორციელი სიკვდილი, ვგრძნობთ რომ ის ცოცხალია და მუდამ იცოცხლებს უხრწნელი სული ტურფა საქართველოსი, რომელმაც დიდებულობა მიანიჭა აკაკის დაუჭკნობელ სახებას.

დაე ხსენება მისი, ვით მშვენიერი ლეგენდა, გადაეცეს ერთიდან მეორე თაობას და გადაიქცეს იგი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად ტურფა საქართველოს ერთგულ შვილითათვის და მის წმინდა აღთქმათა განხორციელების გზაზე.

საუკუნო ხსენებას გეუბნება დიდებულო პოეტო, საქართველოს ძველი დედა ქალაქი.

გრ. გიორგაძის სიტყვა საჩხერეში.

კიდევ რამდენიმე წუთი და დიდებული მგოსანი მთაწმიდას გაეშურება, რომ იქ, ქართველმა ერმა თაყვანის სცეს საუკეთესო თავის შვილს და დიდებას. ქართველი ერი მგოსნის ჭირისუფალია. რით დაიმსახურა აკაკიმ ქართველი ერის ჭირისუფლობა? რა აკეთა მგოსანმა ნახევარი საუკუნის განმავლობაში? როგორ მოიხმარა მან ის დიადი ნიჭი, რომელიც მას ზეცამ უბოძა? რა იდეალებს ემსახურებოდა ის? რა იყო ძარღვი მისი მოღვაწეობისა და უმთავრესი სიმი მისი ჩონგურისა?

ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აკაკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის სინიდისი იყო, სინიდისი მიუდგომელი, შეუპოვარი, სამართლიანობის მედგარი დარაჯი.

ოჯახი, საზოგადო დაწესებულებანი, წოდებები, სწავლა-აღზრდა, სასამართლო, ლიტერატურა, პოლიტიკური მიმდინარეობა,—ყველა ამას თავს დასტრიალებდა აკაკის მიუდგომელი დაფასება და მაკურნებელი იუმორი. და ის მოურიდებლათ შოლტით ხელში ერეკებოდა იმ ტაძრიდან, სადაც მსახურებდა, ყველა მათ, ვინც შელახავდა ამ ტაძარზე აღბეჭდილ ჭეშმარიტებას, რომლის სახელი ადამიანობაა.

ადამიანობა,—აი აკაკის საზომი ყოველი მოვლენის დაფასებისა. ვინც ულალატებდა ამ ჭეშმარიტებას, ის ვერ აცდებოდა მგოსნის რისხვას, ვინც უნდა ყოფილიყო ის: თავადი, აზნაური, ინტელიგენტი, მღვდელი, ბერი, გლეხი თუ მუშა. ხოლო ეს ადამიანობა იხატება ძმობა, ერთობა და სიყვარულში, რომელნიც მგოსნის სიტყვით, თაფლია ცხოვრებისათვის.

თაფლია ცხოვრებისთვის
ძმობა, ერთობა და სიყვარული
და ღირს დალიოს ამ ძიებაში
ადამიანმა სული და გული.

ძმობა, ერთობა და სიყვარული მიმართული მამულის აყვავებისაკენ,—აი აკაკის პოეზიის უმთავრესი სიმი.

ამ ადამიანობას: ძმობას, ერთობას და სიყვარულს ის ეძებს წარსულში, აწმოში და სურს იხილოს მომავალში.

სიყვარული თავის ერის და სხვა ერებისა, ძმობა-ერთობა წმინდა იდეალების მისაღწევათ, მამულის ასაყვავებლათ—აი რას მღეროდა აკაკი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

ამას მღეროდა აკაკი და მას უსმენდა სულ-განაბული ქართველი ერი.

უსმენდა რადგან აკაკი ჩვენი საუკეთესო გრძნობების მეფე იყო, მეფე მხნე, წმინდა, წყნარი და მომცინარი.

მეფე იყო, რადგან ხელთ ეპყრა ქნარი, რომელსაც ხალხური სიმები ამშვენებდენ.

აი ასეთი ხალხური და ადამიანობის ქნარით იგი შეცურდა ცხოვრების ზღვაში. მაგრამ აქ ვერ ნახა მან ძველებური ქართველი თავდადებული, შეუპოვარი, თავის ინტერესების დამცველი; ორპირი, წელში მოხრილი, დაცემული ქართველობა მის გულის წყრომას იწვევდა და ამ საქართველოს სამართლიანათ ეუბნებოდა:

„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“.

სამაგიეროთ ის თაყვანს სცემს პირდაპირ, მამა-პაპის ანდერძის აღმასრულებელ საქართველოს, და ეს მან საქმითაც დაამტკიცა.

ორი დიდი მომენტის მოწმე იყო აკაკი: მე-60 წლების—დიდი რეფორმების ეპოქის და ჩვენ თვალწინ გავლილ ხალხურ მოძრაობის.

აკაკი, არისტოკრატი შთამომავლობით, სულით გლეხობის მეგობარი და მესაიდუმლე იყო. როდესაც მან ჩაიხედა გლეხის სულსა და გულში, მან განიცადა ის, რახაც ბატონ-ყმობით შებორკილი, უფლება ახდილი გლეხობა განიცდიდა

დროშაზე „მიწა და თავისუფლება“ ეწერა. მან აღიმაღლა თავისი მგზნებარე ხმა გლეხობის დასაცავათ და ეს ძლიერი ხმა, მისი ფანდურიდან გამოშვებული, გულში მოხვდა მებატონეთ; ციხე შიგნიდან გატყდა: მებატონე აკაკი გლეხების დამცველათ გამოვიდა და ეტრფოდა იმ დროს, როდესაც გლეხი სრული თავისუფალი მოქალაქე გახდებოდა.

ამ გამოსვლით მან ბევრი წარჩინებული მებატონე გადიკიდა, სასიკვდილოთაც არ ინდობდენ მას, მაგრამ შეუპოვარი დამცველი გლეხის პირით ასე ამხელდა მებატონეთ:

„მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალ დროს რომ მოელი?
რათ არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი მომხვიე ხელი“.

გამართლდა ხალხის მეგობრის აკაკის მოლოდინი, სამართლიანობამ გაიმარჯვა და განთავისუფლებულ გლეხის შვილს ასე მიესალმა მისი მეგობარი აკაკი:

„გაიზარდე გენაცვალე, თავისუფალიო!
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს ვალიო“.

ამრიგათ, აკაკიმ თავდაპირველადვე თავის ჩონგური მშრომელი ხალხის დასაცავათ ააჟღერა და ეს ჩონგური ერთ წუთსაც ხელიდან არ გაუგდია.

მოხუცი აკაკი ისეთივე იყო, როგორც მესამოცე წლებში 25 წლის აკაკი:

აკაკი არ ეკუთნოდა იმ ჯგუფს, რომელიც აღმაცერათ უმზერდა განვლილ ხალხურ მისწრაფებას, ის იზიარებდა მშრომელი ხალხის იმედებს და მოხუცი ასე ამხნევებდა მას:

„ნუ გამოილევ მაგ იმედს,
ეგ იყოს თქვენი საგანი...
მუშებო, თქვენი მარჯვენა
იკურთხოს ოფლით ნაბანი“.

ედაქციის კანტორა უმორჩილესად სთხოვს თავის ხელისმომწერლებს ქ, თუ ქალაქს გარეთ 20 თებერვლამდე შეჰყვლათ წარმოადგინონ ხელის მოსაწერი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

ანტორა აგრეთვე სთხოვს ქუთაისურ ხელისმომწერლებს გაზეთის დატარებლებს გაზეთის დასაკვეთი ფული არ მისცენ და ყოველთვის გვაცნობონ ხოლმე, თუ გაზეთი დააკლდებათ.

ეს თქვა მან, ვინც ხალხის სულის კვეების, მისწრაფების და გრძნობების მესაიდუმლე აყო.

დიდი არს მწუხარება მთელი ერისა, უდიდესია ეს მწუხარება დღევანდელ მძიმე პირობებში. დადუმდა ჩანგი, რომელსაც ამ მძიმე მომენტში ხალხის ულთნადები უნდა განეცადა და შეხამებული სიმისათვის ჩამოეკრა!..

მადლიერი ერი შემოკრბა იქ, სადაც მან პირველათ თვალი გაახილა, მუხლს იდრეკს მისი ცხედრის წინაშე და მთაწმინდაზე მიასვენებს დიდებულ მგოსანს. მაგრამ მთაწმინდაზე აკაკი მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხორცს შეისხამს ის, რასაც მისი ფანდური უმღერდა.

მაშინ, იმ სანატრელ დროს, მთაწმინდა მას კარს გაუღებს, მოხუცი კვლავ საქართველოს მოევლინება, მადლიერი ერი კვლავ დაინახავს თავის დიდებას და თაყვანს სცემს მას; მოხუციც საქართველოს თვალს მოავლებს და რაკი თავის ანდერძის აღსრულებას დაინახავს, ისიც მუყაით ერს მადლობას უძღვნის, და მხოლოდ ამის შემდეგ კვლავ მთაწმინდას მიესვენება და დამშვიდდება.

სიტყვა.

დეპუტატის, ბაქოს, განჯის თფილისის და სხ. მაჰმადიანთა საკულტურო განმანათლებელ საზოგადოებათა წარმომადგენლის ნაფიცი ვექილის ალი-მარდანბეგ-ტოპჩიბაშევისა.

„მეზობელნო ქართველნო! იმ მომენტიდან, როდესაც მშვენიერი საქართველოს სახალხო მოღვრლის სიკვდილის შესახებ საუბედურო და სარწმუნო ხმამ შავი ზღვიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდი მიაღწია, აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანებმა, თავისი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა სახით ბაქოსა, თფილისსა, განჯასა, ერევანსა, ნუხაში და სხ. თავისი ზნეობრივ მოვალეობათა ჩასთვალეს გაენაწილებიათ ეროვნული მწუხარება და გლოვა თავისი საუკუნო მეზობელ ქართველებისა. როგორც ქართველებმა, რომელნიც მწარეთ გლოვობენ თავის საუკეთესო იდეალთა მატარებლის დაკარგვას, ისე მაჰმადიანებმაც, გაიგეს რა საქართველოს მგოსნის სიკვდილი, იგრძნეს, რომ 26 იანვარს, ღამით, დასავლეთ საქართველოში მოხდა ისეთი რამ, რამაც სევდითა და მწუხარებით მოიცვა ყველას არსება.

ასეთ მომენტში მეგობარი ხალხისადმი ძმური ხელის გაწვდა, ნუგეშის ცემა მისი და მის მწუხარებაში მონაწილეობის მიღება ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ნაკარნახევი იმ კეთილმეზობლური დამოკიდებულებით, რომელიც დიდი ხანია, რაც ჩვენი მხრის მაჰმადიანთა და ქართველთა შორის არსებობს.

ჩვენ ვაფასებთ ამ დამოკიდებულებას და ვამაყობთ მით, რადგან მაჰმადიანებმა კარგათ იციან, რომ მეზობელ—ქართველთა სახით მათ აქვთ საქმე გმირ კეთილშობილ ხალხთან, რომელსაც დევიზათ დაუსახავს „იცხოვრე და აცხოვრე სხვაცო“...

ასეთი დიდებული და ბრძნული დასაწყისი, რომელსაც გულწრფელად მისდევენ ქართველები, წყაროა გულწრფელი სიმპატიებისა კავკასიის მაჰმადიანთა ქართველი ხალხისადმი მომავალ თაობის საბედნიეროთ.

და მე აქ, ამ ყველასთვის ძვირფასი, დიდებული ქართველის კუბოსთან უნდა დავამოწმო მაჰმადიანთა ასეთი სიმპატია, რადგან დარწმუნებული ვარ ამითი განიხარებს მგოსნის წმიდა სული.

ეს ხომ შენ იყავი ბრძენო პოეტო, რომელიც ტკბილი ხმებით შეხაროდი შენი სამშობლოს აყვავებას და ყველა ეროვნებათ ძმური ერთობისაკენ მოუწოდებდი!

შენ ცოცხალი სულით განსჭვრიტე ბედნიერება შენი საყვარელი სამშობლოსა ხალხთა ერთობაში!

მაშ, დაე დღეიდან შენი ბრწყინვალე სახე მარადის იმყოფებოდეს ამ ხალხთა შორის და აგონებდეს მათ იმ დიდებულ იდეიათ, რომელსაც შენ ქადაგებდი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

შენ იყავი მოციქული ჩვენ მიერ სათაყვანებელი იდეებისა, რომელნიც ქვაკუთხედათ უნდა დაედვას მშვენიერი კავკასიის აყვავებას.

შენ, დაუვიწყარო მგოსანო, ამით უკვდავ ყავი თავი შენი და ერი შენი, რომლისთვის მარტოოდენ **აკაკის** სახელი კმარა, რომ განათლებულ და კულტურულ ერათ იქნეს აღიარებული.

დიდია საქართველოს დანაკლისი, მაგრამ დაე ჩვენმა კეთილშობილმა მეზობლებმა ინუგეშონ მით, რომ შენი მხატვრული ხელით გადასროლილი მარცვალი მშობელ ნიადაგზე დიად ნაყოფს გამოიღებს სინათლესა და თავისუფლებას მოწყურებული ხალხის საბედნიეროთ.

ჩვენი წმინდა ვალია გავყვეთ იმ გზის მაჩვენებელ ბრწყინვალე ვარსკვლავს, რომელზედაც საქართველოს მგოსანმა მიგვითითა.

და დიდებული აკაკის ამ ძვირფასი ცხედრის წინაშე, ყველამ ჩვენი აღთქმა უნდა დავდოთ, რომ ავასრულებთ მის მცნებათ, რათა არ იქცეოდეს სისხლი უდანაშაულო ხალხთა, არ ნადგურდებოდეს ჯეჯილი, არ ინგრეოდეს სახლები, არ იწოდეს სოფლები...

ქუთაისის ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანისა.

საქართველოს დიდების და დამცირების მომსწრეო, ჩვენო სათაყვანო თფილისო! ამ დიდი ეროვნულ გლოვის დღეს ქალაქი ქუთაისი საქართველოს ყველა ქალაქებთან, მთელ საქართველოსთან ერთად გიძღვნ ს შენ უმდაბლეს სალამს და გილოცავს ბედნიერებას..

ბედნიერი ხარ მით, რომ მადლიერმა ქართველმა ერმა არ დაიშურა და ძღვნად მოგართვა, რაც გააჩნდა ქვეყანაზე უძვირფასესი; მოგართვა თავისი სასოება—შვილი, ეროვნული დიდება. გადავლახეთ დიდი მანძილი და შუა გულ იმერეთიდან აქ მოგისვენეთ ხალხის სალმერთებელი, საყვარელი მგოსანი.

ყველა ქალაშებს შურს დღეს შენი ბედი.. ვერ დავფარავ,—ქუთაისის მოქალაქეთა საიდუმლო ზრახვას, მათ გულწრფელს სურვილს შეადგენდა, რომ აკაკის ძვირფასი საფლავი ქუთაისს ქონოდა სანუგეშოდ და სასახელოდ დიდებულ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სიახლოვეს. აკაკის სიყვარული ქუთაისისადმი განსხვავებული იყო და რა გასაკვირია, რომ ქუთაისსაც აკაკი მარტო თავისად მიაჩნდა!

მაგრამ შენ, ბედნიერო თფილისო, ძველთაგანვე მთელ საქართველოს გულად, დიდ აკლდამად, ეროვნულ პანთეონად მიჩნეულო, მხოლოდ შენი მიწა, შენი მთაწმინდის მიწა, დაიტევს დიდი მგოსნის ზღვა გულს, მამულისადმი უმაღლეს ტრფობით აღგზნებულს გულს, ისე, როგორც დაიტია დიდი ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის გული.

შენსავით აბა ვინ ჩაიხუტებს გულში და ნამდვილ დედასავით ვინ მოუვლის საშვილიშვილო სამარეს!

ქუთაისის სიამაყევ, ბაგრატის ტაძარო, უტყვო მოწმევ საქართველოს ძლიერებისა და ქველობისა! აღსრულდა ქართველი ერის ნება: მთაწმინდამ უნდა მიიბაროს დღეს შენი სათაყვანო აკაკი. ერის ნების წინაშე შენც უნდა მოიხარო შენი მაღალი ქედი...

„სავარდო და სამაისო“ ქუთაისი თუ სიცოცხლეში არ იშურებდა და ვარდსა და იას უფენდა ფეხქვეშ საყვარელს მგოსანს, სიკვდილის შემდეგაც არ მოაკლებს, გამოუგზავნის მას საუცხოვო ქუთათურს თაიგულს.

ნეტავ რას გვიმზადებს, საით მივყევართ შავ-ბედს? ულევთ იყო ილია ჭავჭავაძის, იმ დიდი კაცის სიკვდილი! აღშფოთებული ქართველის გული ვერაოდეს ვერ შეურიგდება ილიას დაკარგვ ს. დიდი დანაკლისით დატანჯული ქართველი მხოლოდ მით ინუგეშებდა თავს, რომ ცოცხალთა შორის ეგულებოდა მეორე დიდი ქვეყნის მოამაგე—აკაკი წერეთელი.

რა დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ? რა იყო მისთვის აკაკი წერეთელი?

საზოგადო ურწმუნობის, სასოწარკვეთილების, გულგატეხილობის დროს აკაკის ციურმა ჰანგმა გაგვითბო, გაგვინათლა გული, აგვიმღერა იგი უმაღლესის ეროვნულის გრძნობით, სამუდამოთ შეგვაყვარა ჩვენი სულთმობრძავი სამშობლო, ჩვენი ერი.

აკაკი იყო ის შეუპოვარი, უშიშარი გმირი განახლებულის საქართველოსი, რომელმაც ხმამაღლა ამცნო ქვეყანას მკვდრეთით აღდგომა, უკვდავება საქართველოსი.

ქართველო ერო, მიმოიხედე ირგვლივ, მოიგონე ერთს წამს ის შავი დღე, საქართველოს რომ გაუთენდა, აი, აქ, თფილისში, კრწანისის ბაღებთან...

. შენ, სასოწარკვეთილს, დამცირებულს, გეგონა, რომ კრწანისის დამარცხებამ სამუდამოდ გადასწყვიტა საქართველოს ბედი...

შენ კი არა, თვით ირაკლის, ამ გულგაუტეხელ გმირს მეფეს, ამ გულმხურვალე მამულიშვილს, საქართველოს ბედი იმ დღეს გადაწყვეტილად მიაჩნდა.

გახსოვს შენ, ქართველო ერო, ის საშინელი წამი: კრწანისის ომის წაგების დღეს სასოწარკვეთილებამდის მისული ირაკლი, იქ, ავლაბრის ხიდთან ცხენიდან რომ გადმოხტა და სასიკვდილოდ გამზადებული წმინდა ესტატეს ნაწილებისაკენ იშვერდა ხელებს და უკანასკნელად ავედრებდა მათ თავის ბედშავ სამშობლოს?

მაგრამ, არა, არ გამართლდა ირაკლის შიში! კრწანისის დამარცხებამ ვერ დაამარცხა, ვერ მოკლა ერის სული. კრწანისის გმირთა საფლავებიდან იმ დღესვე გარკვევით გაისმა სანეტარო ხმა:—შეუძლებელია მოკვდინება უკვდავ ეროვნულ სულისაო!

ქართველებო კრწანისის გმირთა ძვლებზე უკვე აღმოცენდა და გაიზარდა ახალი რაზმი ქართველ გმირთა. გწამდეთ, რომ ეს რაზმი ზვავივით დაიძვრის და მეხად მოევლინება უსამართლობის და თავისუფლების მოსისხლე მტერთა!

დიდებული მამულიშვილის აკაკის ხსოვნას.

„დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ,
შენს კალთას მიმაბარეო
ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო“.

აღსრულდა დიდებული მგოსნის ეს მცირედი სათხოვარი! ცა—ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტოვანმა სამშობლო მხარემ მოწიწებით და კრძალვით ღირსეულად მიაცილა ძვირფასი ცხედარი ჩვენი ქვეყნის გულს, წმინდა მთა-წმინდას, საიდამაც ტანჯული ქვეყნის დიდებულ მამულიშვილს ასე უყვარდა თვალი მოევლო თავისი სამშობლოს არე-მარისთვის და ტკბილი ჩანგის ჟღერით ეფხიზლებია მისი გული და გონება.

იქ ჩაფიქრებულმა მთა-წმინდამ, სევდებით მწუხარემ, დედაშვილურის სიყვარულით, განუმზადა თავის მგალობელს და მესაიდუმლეს წმინდა სამარე, სამშობლოს მხურვალე მზის სხივებით გამობბარი და გაშუქებული.

ამ წმიდა ადგილს მრავალტანჯულმა საქართველომ მიაბარა ეს მეორე დიადი მნათობი მეცხრამეტე საუკუნისა.

მთა წმინდის წიალმა მიისვენა ჩვენი ერის ნათელი მზე და შუქმფენი მთვარე.

დიდი ილიას გვერდით აღიმართა დიდებული აკაკის სამარეც.

თავზარდამცემი იყო და არის ამ ორი ბუმბერაზის დაკარგვა საქართველოსთვის. პირველს ჩვენვე დავატოვებიეთ საყვარელი სამშობლო, მეორემ თვით დაგვტოვა, თვით დაგვაობლა, გაგვზარდა ამ მძიმე ჟამს და საიდუმლოებით მოცულ ხანაში. დავკარგეთ ორივე ქურუმი ქართულ ტკბილხმოვანებისა, მაგრამ მათი სპეტაკი სული, მუდამ მჭმუნვარე სამშობლოს ბედზე, მარად მცველ-ნუგეშათ ეყოლება ჩვენს ბედკრულ მხარეს, და მათს წმინდა საფლავზე აღმართული მარმარილოს ძეგლი, გარდაიქცევა სინათლის სვეტად, რომ მთა წმინდის მაღლობიდამ, ვით ელვარება, კვლავ მოეფინოს კიდით-კიდემდე მათს საყვარელ მამულს რწმენის, იმედის და სასოების განსამტკიცებლად.

ჯაფარ ფაშა.

ახალი ამბავი.

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ აკაკის ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ 100 მანეთი გადასდვა.

✦ ქალაქის სავათმყოფოში ამჟამათ მხოლოდ ერთი ყვავილიანი ავათმყოფი წევს.

საკონცერტო ბალი. ხვალ, 13 თებერვალს, ქალაქის თეატრში გაიმართება საკონცერტო ბალი თფილისის სახაზინო თეატრის მსახიობ ქალის ე. ნ. სტაროოტინისა. კონცერტში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ქართველი მომღერალი ივანე პ. სარაჯიშვილი.

✦ რაჭის მაზრის ექიმათ, დაინიშნა ექიმი კონსტანტინე სიმონის ძე ჯაფარიძე.

✦ გუშინ ქუთაისში ჩამოასვენეს ცხედარი ბრძოლის ველზე დაღუპული ექიმის სერგო მიხეილის ძის ქლენტისა.

✦ დღეს, 12 თებერვალს ქალაქის თეატრში შესდგება პირველი წარმოდგენა ქართ. მსახიობთა ამხანაგობისა. ეს წარმოდგენა გაიმართება დიდებულის მგოსნის აკაკის ხსოვნის პატივსაცემლათ. წარმოდგენილი იქნება მისივე ისტორიული 5 მოქმედებიანი დრამა **„პატარა კახი“** და **„აპოთეოზი“**. წარმოდგენაში მონაწილეობას მთელი დასი მიიღებს.

✦ ქუთაისის ყველა მეთორნეებმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანა, რომ პირველი ხარისხის პურის ნიხრს მოემატოს 2 კაპიკი, ხოლო დანარჩენებს თითო კაპიკი.

✦ **ქალაქის განაპირა** მედუქნეები სანოვაგეს ნიხრს ზევით ყიდიან. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

✦ დღეს, თფილისის სამოსამართლო პალატა დაასრულებს ქუთაისში საქმეების გარჩევას.

✦ 10 თებერვალს, ქალაქის თეატრში გაიმართა პ. ფრანგიშვილის საღამომეჯლისი. საღამომ კარგათ ჩაიარა. ხალხი საკმაოთ დაესწრო.

✦ 13 თებერვალს ოლქის სასამართლო გაარჩევს ბართლომე ბოცვაძისა, ანტონ ჩხეიძისა და ეფემია ნეზემცოვის საქმეს.

✦ ქალაქის გამგეობამ სტავროპოლის ქალაქის გამგეობისაგან დეპეშით ცნობა მიიღო, რომ იქ პურის ფქვილი ამ ჟამათ შემდეგ ფასებში გადის: მეოთხე ნუმერი ხუთფუთიანი—10 მ. და 75 კ., მეხუთე—10 მ. და 10 შ., მეექვსე—9 მ. და 75 კ. და მეშვიდე—9 მ. და 5 შაური.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ ეკატერინოდარიდან ცნობა მიიღო, რომ ამ ჟამათ იქ პურის ფქვილი შემდეგ ფასებში იყიდება: მეოთხე ნუმერი ტომარი 8 მანეთი და 5 შ. მეხუთე ნუმერი 7 მ. და 15 შ. მეექვსე ნუმერი 7 მ. და 5 შ. და მეშვიდე ნუმერი 6 მანეთი.

✦ როგორც სოფ. უბისიდან გვწერენ (შორაპნის მაზრა) 8 თებერვალს იქაურმა თავად-აზნაურების მანდილოსნებმა აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაახდევინეს.

✦ ქ. ფოთის მესამე რაიონის ბოქაულათ დაინიშნა აგაბო ერისთავი.

✦ 3 თებერვალს, სოფ. მერევის ქალთა კრებამ გადაიხადა პანაშვიდი მგოსანი აკაკის სულის მოსახსენებლათ.

✦ 1 თებერვალს ს. ჭალასთავის მცოვრებლებმა აკაკის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაახდევინეს.

✦ რედაქციამ მიიღო დ. ნახუცრიშვილის ახალი წიგნი „ჯიუტები“ ავტორის სურათითა და წინასიტყვაობით. წიგნში შემდეგი მოთხრობებია: „თადე“, „დაკვებებული მაქვს“, „სამგორი“, „სად წავიდნენ კაწარელნი“, „ზარის ხმაზე“, „სოლომონ ბრძენიც სდუმდა“, „წამალი“, „საფქვავი“, „ჯიუტი ყმა“ და „აღდგომასაც კი“ წიგნი მშვენიერათაა გამოცემული. შეიცავს 119 გვერდს და ღირს 6 შაური.

10 თებერვალს, თფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ათანასე მეპურიშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ქალაქის ხმოსნის შეურაცხყოფა. ოლქის სასამართლოდან მას მისჯილი ჰქონდა ერთი წლის გამასწორებელი რაზმი და ყოველივე უფლების ჩამორთმევა. პალატამ სასჯელი მას 3 თვეზე დაუყენა და უფლებებიც დაუბრუნა.

ომი.

პეტროგრადის დეპეშათ [illegible]

პეტროგრადი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: 8 თებერვლის მოხსენებაში ნათქვამი იყო, სხვათა შორის, იმ განსაკუთრებულ ცუდ მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა ერთი ჩვენი კორპუსის ნაწილები, აღმოსავლეთ პრუსიიდან დახევის დროს. ეს იყო ნაწილები მეოცე კორპუსისა, რომელსაც სარდლობდა გენერალ-ლეიტ. ბულგაკოვი. ეს ნაწილები შესდგებოდენ 24-ე დივიზიისაგან და სამი სამორიგეო პოლკისაგან. 31 იანვ., საღამოთი, მეათე არმიასთან ხსენებულმა კორპუსმა კავშირი გასწყვიტა. ეს კორპუსი იმყოფებოდა იმ დროს სუვალკისა და გოლდაპის რაიონში, რომელიც გარსშემორტყმული იყო გერმანელების ჯარებით, რომლის სიძლიერე და რიცხვი თანდათან მრავლდებოდა 9 თებერვლამდის. კორპუსი მამაცურათ იბრძოდა მასზე ბევრათ ძლიერ და უმრავლეს ძალების წინააღმდეგ. მტერმა ამ დღეებში გაიარა 50 ვერსზე მეტი და ეძალებოდა ავგუსტოვის ტყეების სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ტყვეების ჩვენებით, მტერმა დიდი ზარალი ნახა. გერმანიის ერთი რაზმი ცდილობდა მისთვის გზა გადაეჭრა ტბიანსა და ტყიან ადგილებში გიბსთან. ცალ-ცალკე ვინც შესძლო კორპუსიდან გამოსვლა გადმოგვცემს, რომ ჩვენი კორპუსი იბრძოდა, ვიდრე ქონდა შეძლება და საშუალება. იგერებდა რა მტერს ოთხსავე მხარეს, კორპუსი მოდიოდა არტილერიით და თან მოყავდა აუარებელი ტყვე გერმანელები.

8 თებერვალს ბრძოლა ბობრისა და ნარევის მარჯვენა მხარეზე გრძელდებოდა ოსოვეცთან. იერიშით მომავალი გერმანელები უკუგდებულ იქნენ. ლომჟის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება რაძივილოს, დუჩინოს და კოლნოს ჩრდილოეთით. მტრის მეტათ საგრძნობი ძალების იერიშის მიუხედავათ, ჩვენ შევინარჩუნეთ ედვაბნო. განსაკუთრებული სასტიკი იერიში გერმანელებმა მიიტანეს ედვაბნოზე, 8 თებერვალს, ღამით. ამ იერიშში გერმანელებმა იხმარეს ჯავშნიანი ავტომობილები. პრასნიშკას რაიონში გერმანელებს იერიშები მოაქვთ ჩვენ ჯავშნიან ავტომობილებზე.

პლონსკის გზებზე ზოგიერთი სოფლები ხელიდან ხელში გადადის.

ვისლის მარცხენა მხარეზე, ფონვარკის სამხრეთით, ჩვენ ავაფეთქეთ გერმანელების თხრილების წინ სამი ნაღმი, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენა მტერს. ჩვენ წამოვიღეთ 3 ტყვიისმტყორცნელი, ნაღმის მფრქვეველები, ყუმბარები და წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. აფეთქების დროს გერმანელებს დაეხოცათ 500 ჯარისკაცი.

კარპატებში ავსტრიელები ესროდენ მონასტერს 11 დიუმიან გაუბიცებიდან. მათი იერიშები მიკუვ-სმოლნიკ-ტუხკოვის რაიონებში მოგერებულია ჩვენგან მათთვის დიდი ზარალით.

გენერალურ შტაბის მთავარ სამმართველოსაგან: ჩვენმა არმიამ კარპატებში, იანვრიდან 7 თებერვლამდი ტყვეთ წამოიყვანა 691 აფიცერი და 47.640 ჯარისკაცი. იხელთა 17 ზარბაზანი, 118 ტყვიისმტყორცნელი და 2 ჰაეროპლანი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 9 თებერვალი. არგონის სიმაღლესა და შეპაის ტყის შუა ხდება პატარ პატარა შეტაკება. ელზასში, მდინარე ფედტის ორივე ნაპირზე ქვეითი ჯარების ბრძოლაა, აქ მტერს ბევრი ჯარი ყავდა. 9 თებერვალს გერმანელების ცეპელინმა კალეს ყუმბარები დაუშინა. ჩამოაგდო 5 ყუმბარა, რომლისგანაც მოკლულია 5 მშვიდობიანი მცხოვრები. ზარალი უმნიშვნელოა. 9 თებერვალს გერმანელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს რეიმსზე, სადაც მსხვერპლის რაოდენობა საგრძნობელია სუენის ფრონტზე ჩვენ წინ წავიწიეთ და დავიკავეთ მტრის მრავალი თხრილი, აქ ჩვენ მოვიგერეთ მტრის ორი კონტრ-იერიში და წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. დანარჩენ ფრონტებზე საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 10 თებერვალი. ოფიციალური. ლომბარდზიდეს დასავლეთით მტერი ცდილობდა ორჯერ იერიშის მიტანას ჩვენზე, რომ გზა გახსნოდა რეიმსისკენ, მაგრამ ორივეჯერ ჩვენმა არტილერიამ საშუალება არ მისცა მტერს თავის განზრახვა სისრულეში მოეყვანა. რეიმსზე ყუმბარების დაშენა მტერმა დილის სისახ-

ტიკი მოახდინა. პირველი სროლა გაგრძელდა 6 საათს, მეორე 5 საათს. მტერმა ყუმბარები დაუშინა ქალაქს ყველა კუთხეს. სულ ესროლა 150 ყუმბარა. ამდენ ხანს გადარჩენილი რეიმსის ტაძრის ნაწილები საგრძნობლათ დაზიანდა, სხვათა შორის, დაინგრა შინაგანი თაღი. ცეცხლი გაუჩნდა 20 სახლს. ქალაქში მოკლულია 20 მშვიდობიანი მცხოვრები.

პარიზი. 9 თებერვალს, დილის 4 ს. და 10 წუთზე კალესთან გამოჩნდა გერმანელების დირიჟაბლი, გადმოყარა ყუმბარები, რითაც გააფუჭა რკინისგზა და ორი სახლი დააზიანა. მოკლულია 5 კაცი.

პეტროგრადი. კავკასიის ჯარების შტაბისაგან. 10 თებერვალი. 8 თებერვალს ბრძოლა ხდებოდა. ჰორიზის რაიონში, სადაც ოსმალებმა დაიხიეს მდინარე ისხალისუსკენ. დანარჩენ ფრონტებზე შეტაკება არ ყოფილა.

პეტროგრადი. 10 თებერვალი. „არმეის. ვესტნ.“ მიმოხილვა. ვისლის მარცხენა მხარეს 6 თებერვლიდან 9-მდის მხოლოდ საარტილერიო სროლა სწარმოებდა. 7 თებერვალს მტერი ცდილობდა იერიში მოეტანა, ოლიკის, ხოვაის და კრასნიბროდის რაიონებში, მაგრამ ცდამ ტყუილა უბრალოთ ჩაუარათ. ამ დღეს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ რამდენიმე აფიცერი და 400 ჯარისკაცი. და ვიხელთეთ ერთი ტყვიის მტყორცნელი. 8 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში, მტერს მოქონდა სასტიკი იერიში ბელევროდის დასავლეთით, მაგრამ უშედეგოთ. ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 9 აფიცერი და 580 ჯარის კაცი. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით აიღო სოფელი ნებილოვი. ხელჩართული ბრძოლა ამ სოფელში გრძელდებოდა 7 საათიდან საღამოს 11 საათამდის. მტერი უკუვაგდეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 8 აფიცერი და 320 ჯარისკაცი. 6 თებერვალს, საღამოთი, მტერმა ოთხი იერიში მოიტანა კოზიუვკთან. ერთ სიმაღლეზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა. შემდეგ ის გადავიდა თავდაცვაზე, აქედან ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 150 ავსტრიელი. 7 თებერვალს, დილით ჩვენ დავიკავეთ ერთი სიმაღლე ვიშკოვსა და სტანისლავოვის რაიონში. აქედან ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 7 აფიცერი და 600 ჯარის კაცი.

სხვა და სხვა ამბები.

სოციალდემოკრატების საქმე.

პეტროგრადი. ბრალდებულთაგან არც ერთმა თავი დამნაშავეთ არ იცნო. შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა, რომელთაც სასამართლოს წარუდგინეს საბუთები, თუ როგორ მოხდა ჩხრეკა და დაპატიმრება დეპუტატების, რომელთაც უნახეს მათივე გამამტყუნარი საბუთები. პოლიციის რამოდენიმე მოხელემ სასამართლოს აჩვენა, რომ მათ ნახეს ქარხნებში პროკლამაციები, რომლითაც მოუწოდებდნენ ხალხს ომის წინააღმდეგ. კრება მეორე დღისათვის გადაიდო.

დარდანელთან.

ათენი. 9 თებერვალი. ორი დღის სროლის შემდეგ, მოკავშირეების ფლოტმა დაანგრია აზიისა და ევროპის მხრით მდებარე წინა ფორტები. სპეციალურათ ამისთვის დანიშნულია გემები შემდეგ მიუახლოვდენ სრუტეს შესავალს და იჭერდენ ნაღმებს. სროლა გაგრძელდება შემდეგაც.

სტოკჰოლმი. 10 თებერვალი. ბერლინიდან იუწყებიან: პრუსიის ლანდტაგში შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: იმ ფორმის გამო, რომელიც ინგლისმა ამ ომს მისცა, საჭიროა თითოეული გერმანელი, მიუხედავათ წლოვანებისა და სქესისა შევიდეს სამხედრო სამსახურში. მათი ლოზუნგი უნდა იყოს: ზარალი მტერს. ყველა უნდა დაეხმაროს სახელმწიფო ფულით და მაშინ, ჩვენ ვძლევთ ყველას, თუნდა მთელმა ქვეყანამ ჩვენზე გამოილაშქროსო“. ლანდტაგმა მიიღო 110 მილიონიანი კრედიტი, ზოგიერთ ობშჩინების გაჭირვებულ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენით.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც ჰააგიდან იტყობინებიან, გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში სახლვაო უწყებისა და ჰოლანდიის სანაოსნო საზოგადოების წარმომადგენლებსა თათბირი ჰქონდათ გერმანიის მიერ დაალყულ ჩრდილო ზღვის შესახებ. თათფირმა შემდეგი დასკვნა: გემების კაპიტნები შეამჩნევენ თუ არა წყალქვეშა ნავებს, იმ წამსვე გაჩერდენ.

— ჰოლანდიის სანაოსნო კამპანიებმა გზა ჰავრაზე ირჩიეს.

— —

დანიისა, ნორვეგიისა და შვეციის მთავრობებმა ინგლისსა და გერმანიას თავთავის მხრით ნოტა წარუდგინეს — პირველს იმიტომ, რომ ნეიტრალური ბაირაღებით სარგებლობს და მეორეს— ინგლისის კუნძულების წყლებში საომარ სამზადისს ადგია.

— —

ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ ნეიტრალურ სახელმწიფოებს აცნობა, რომ იმ ჯარს, რომელიც რუსების წინააღმდეგ იბრძვის, ებრძანა ტრანსილვანიისა და ბუკოვინის მცხოვრებლებთ აგანის პირები დახვრიტოს, რომლებიც რუსის ჯარში მოხალისეებათ ჩაეწერებიან.

— —

„ბირ. ვედ.“-ის სიტყვით, გაზეთი „ლოკალი აზეიგერი“ და „ფრანკცეიტ.“-ი სწერს: გერმანია მუდამ მზათ უნდა იყოს იტალიის მოულოდნელ მოქმედებისთვის. ვენის გაზეთები ირწმუნებიან, ავსტრია არაფრის გულისთვის ტრიენტსა და ტრიესტსა თავისნებით არავის დაუთმობსო.

— ორშაბათს ფიუმეში არეულობა მოხდა იმის გამო, რომ მცხოვრებლებმა უარი განაცხადეს ეთქვათ პურის რაოდენობა. დედაკაცების ბრბო ცხენოსან ჟანდარმებს ქვებს უშენდა, საპოლიციო სამართველოს ცეცხლი წაუკიდეს.

— ტრიესტის მთავარმართებელი თ-დი გოგენლოე ჩამოყენებულია. მის მაგივრათ ბარონი ირიზი დანიშნეს. ტრიესტში ღამით ბევრ სახლზე, იტალიის ეროვნული ბაირაღის მსგავსის სამ-ფეროვანი განცხადებები გაეკრათ ზედ წარწერით: „დაჰკრა უკანასკნელმა საათმა“

— —

გერმანიის პრესა ინგლისის მიმართ მუქარას განაგრძობს. გაზეთი „ლოკალი ანცეიგერი“ სწერს: მთელმა ქვეყანამ უწყის, რომ გერმანიამ ტყუილი მუქარა არ იცის. 18 თებერვალი, ეს ისეთი დღეა, რომ რამოდენიმე ჩვენს მომავალ თაობას არ დაავიწყდება. იწყება მოგერებითი ბრძოლა იმ ხალხისა, რომელსაც შიმშილით ემუქრებიან.

— —

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ ბრიანი გერმანიისთვის ახალ ნოტას ამზადებს, რომლითაც აუცილებლათ მოითხოვს ამერიკის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

— —

„რ. სლ.“-ს იტყობინებენ, რომ ჩრდილო ზღვაზე გემების მიმოსვლა წესიერათ სწარმოებსო. შვეციასა და დანიაში ისეთი შემთხვევაც იყო, რომ კამანდებმა ზღვაში გამოსვლაზე უარი განაცხადეს.

— —

ხმებია, ვითომ შვეციის მთავრობას ბერლინიდან ცნობა მიეღოს, რომ გერმანიის სამხედრო გემებს ებრძანა შვეციის ორთქლმავლებს სიფრთხილით მოეკიდნენო.

— —

გერმანიის საპასუხო ნოტამ შეერთებულ შტატებში აღშფოთება გამოიწვია. გერმანიას ინგლისის ნაპირების ალყა რომ შეეძლოს, მაშინ საქმის ვითარება გარკვეული იქნებოდა, ახლა კი მომავლის შესახებ გამოურკვევლობა არსებობს. ადმირალი კირხგოფი ირწმუნება, რომ ასეთი დაალყვა ყოვლად შეუძლებელიაო. ჩვენ გვინდა მხოლოდ ინგლისის ნერვები, რაც შეძლება, გავძაგროთო.

— —

ამ დღეებში მოელიან ჩინეთსა და იაპონიის შორის ჩამოვარდნილ განხეთქილების მოწესრიგებას. ჩინეთი იაპონიის მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს.

— —

გაზეთ „დენს“ კოპენჰაგენიდან იტყობინებენ, რომ გერმანელები ინგლისის ნაპირებზე ცეპელინებით დასაცემათ ემზადებიანო.

— —

დურაცოში 20 ათასი ჯარის კაცია გადმოსხმული ალბანიის დასაჭერათ.

ბედი პოლონეთისა.

ავსტრიისა და გერმანიის მთავრობის მოწოდება პოლონელებისადმი.

პეტროგრადის გაზეთ „გოლოს პოლსკი“-ში დაბეჭდილია ყურადსაღები დოკუმენტი, პროკლამაცია, რომელსაც ავრცელებენ რუსეთის პოლონეთში გერმანელების მიერ დაპყრობილ ადგილებში.

ამ პროკლამაციაზე ხელი მოწერილი აქვთ ფრანც იოსებს და ეგნატე დაშინკის „გალიციის ნამესტნიკსა და პოლონეთის რწმუნებულ მინისტრს“. ამ მოწოდების შინაარსი შემდეგია:

„პოლონელ ერისა, პოლონეთის გაერთიანებული ადგილებისა, დასავლეთ-გალიციისა, კრაკოვისა და ზემოსილეზიის სამთავროებთან ერთად, რუსეთის იმპერიისაგან განცალკევებულ კალიშისა და პეტროკოვის გუბერნიებისა და იმპერატორ ფრანც-იოსების, პოლონეთის დროებითი პროტექტორატის სახელით 1915 წლის 14 თებერვლისათვის კრაკოვში მოწვეული იქმნება სრულიათ პოლონეთის ეროვნული კონვენტი და საარჩევნო სეიმი, საკანონმდებლო კრებულის სახით, რომელიც მოწოდებულია დააწესოს კონსტიტუცია გაერთიანებულ პოლონეთის ადგილებისა და დაუყონებლივ შეუდგეს არჩევას პოლონეთის მიწა-ადგილის კანონიერი მეთაურისას, იქნება იგი კონსტიტუციის მონარქი თუ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი.

კონვენტისა და საარჩევნო სეიმის სხდომების ადგილი, აგრეთვე წესი და პროგრამა სხდომებისა გამოქვეყნებული იქნება ცალკე ახლო დღეებში. განსაკუთრებულ სამინისტრო ცირკულიარშივე იქნება აღნიშნული წესი, რომლითაც უნდა მოხდეს საკანონმდებლო კრებულისა და საარჩევნო სეიმის არჩევნები თანაწორი, საიდუმლო და პირდაპირი არჩევნების დებულებათა თანახმად. მანამდის კი, საყოველთაოდ ცხადდება, რომ ორივე მოკავშირის სახელმწიფოთა მთავრობათ, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიისას აზრადა აქვთ პოლონეთის დამოუკიდებელ სამეფოს მეთაურად კონსტიტუციის მონარქის ღირსებით [illegible] უფლებით არჩეულ იქნას ერც-ჰერცოგი კარლ-სტეფანი ჰაბსბურგელი. ამასავე ასახელებს პოლონეთის ეროვნული მთავრობა, იღებს მხედველობაში არსებულ სამხედრო წესებში რესპუბლიკის დაარსების შეუძლებლობას“.

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

ქუთაისში მოდის:

თფილისიდან	5 ს. 50 წ. დილ.
	11 ს. 30 წ. ღამ.
ბათომიდან	10 ს. 5 წ. დილ.
	2 ს. 23 წ. ღამ.
ფოთიდან	10 ს. 30 წ. დილ.

ქუთაისიდან გადის:

თფილისში	7 ს. 55 წ. დილ.
	1 ს. 7 წ. ღამ.
ბათომში	10 ს. 7 წ. საღამ.
	4 ს. 27 წ. დილ.
ფოთში	4 ს. 14 წ. დღ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საქმიო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.
გვერდით გაშართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოვლნაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.
კატალოგები უფასოთ — თ.

სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის
ფ. დ. ერქომაიშვილის და ა-ბის
ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში.** სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩის და საკათედრო მოედნის კუთხეში, რიქინაშვილის [illegible] ბაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.
[illegible] მიღებული მრავალი ახალი მოდის [illegible]
საქონელი იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში.
პატივისცემით: ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა. 12—1 უფ

ქუთაისი.
თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ
დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ
საქართველოს ისტორია.
მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ.
საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

ს. ს. ი. გოკიელის ძ-ბის ქუთაისში
ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი
აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**
ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება.	20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც.	20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით	15 კაპ.
4) ქართ მოძრავი ანბ. ქაღ.	10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული	25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ.	50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ.	3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія	20 კაპ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა	35 კაპ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით	85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით	20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით	50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე	30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში	50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I.	70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II..	70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა	20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით	15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ 50 კ., ყ.	60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემი პოლიტ.	10 კ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა.
1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. კურსი ათ თვიანია.
სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

ფოთის ახალ მაღაზიაში „უნივერსალ“
ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ
მაღაზიააში იყიდება მაღაზიაში
უკანასკნელ მოდების, გალანტერეიის, შლიაპებისა და ხელსაწარმოების საქონლები:
სხვა და სხვა კრუჟევა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეტები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშებისა და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.
რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. დაკლებულია 50%.
თ. პატივისცემით **აინბინდერი.**







ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,
რომ მე გავიყარე **ნ. ს. ტერკის ფირ**მას და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.
საკუთარი მაღაზია;
ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა შემძლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო იაფად გავყიდო და სინდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.
მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი**